

572 / 2
1983

ISSN 0132-5965

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1983 წლის მარტი № 3

ქართული



პატარა ნინო, დიდი თეონა



ციცინო ზამხრალიძე

ზატარი თამარ შხიძიძე

ნინო პატარაა, თეონა დიდი.
ნინო ოქტომბრელია, თეონა — პიონერი.

ნინო ოქტომბრელთა ვარსკვლავს ხელმძღვანელოს და თეონა ასწავლის მას, როგორ უნდა უხელმძღვანელოს თავისსავით პატარა ამხანაგებს პატარა ნინომ, იმიტომ რომ თეონა დიდაა, თეონა პიონერია.

სკოლას ძალიან ღამაზი, მუდამ მწვანე, და აგურის ნაფხვენებით მოფენილი ნითელი ბილიკებით დაქსელით ბაღი აქვს. თეონა და მისი მეგობარი პიონერები, ნინო და მისი ვარსკვლავის წევრი ოქტომბრელები სიხარულით უვლიან ბაღს. ამიტომ არის ის მუდამ ლუფთა, კრიალა. ამიტომ იწონებენ ამ ბაღს თავს მთელი სკოლის ბავშვები...

თეონამ ნინოს გადაუღოცა თავისი სანიშნოდ მოვლილი, თითქმის ახალთახალი სახელმძღვანელოები. ახლა ნინო მაგალითს უჩვენებს ვარსკვლაველებს, თუ როგორ უნდა მოვლა წიგნებსა და სასწავლო ნივთებს. წიგნების სოფლა სახელმწიფო საქმეაო, — რიხით ეუბნება ხოლმე ამხანაგებს, რადგან უკვე იცის, რომ წიგნების ბუჭდვა ძვირი

ჯდება და, თუ გინდა შენს სამშობლოს რამეში გამოადგი, წიგნებსაც კარგად უნდა მოუარო. არა, ეს გმირობა არ არის, ეს აუცილებელი საქმეა. კარგი სწავლაც აუცილებელია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ახლა კარგად გააკეთებ, მომავალში შეიძლება გმირობის ჩადენაში დაგეხმაროს. ამიტომ ყველაფერ კარგს ახლავე შეიძლება გმირობა დაერქვას. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს ნინო. თავისი მასწავლებლისადმი მიძღვნილ ლექსში ის კარგი სწავლის, კარგი ქცევის პირობას აძლევს მას და ბოლოს ასე ეუბნება:

ზომ მოგეცი პირობა?
ჩაივინე გმირობა!


ნიწო, ნიწო, ნიწო...

რამდენ ოქტომბრელს ჰქვია ეს მშვენიერი სახელი — ნინო! კარგ სახელს კი გამართლებსა უნდა...

რას არგია, როცა ამ ღამაზ სახელს ხშირად ღინაზავ ოქტომბრელთა შემოქმედებით ალბ. მწი. ალბომში შეტანილია მასწავლებლისგან მოცემულ თემაზე დაწერილი პატარა მოთხ. ნივთები, უფროსების მონაყოლი საინტერესო ამბების ჩანაწერები, ბავშვების ლექსები, ნახატები, მათი შედგენილი გასართობები, გასოცანები, რებუსები... და ბევრ ნამუშევარს აქვს ხელმოწერა: ნინო... ყველაზე უკეთესი კი ის არის, რომ ეს ნინოები სხვა საქმეებშიც ყოჩაღები არიან.

აი, მაგალითად, მეორე ნინომ ზაფხულ-

5977



მხატვარი და ჰერკული

ში მშენიერი ჰერბარიუმი შეადგინა. თურმე რა საინტერესოა, მოაგროვო ყვავილების ნიმუშები, გაიგო ამ ყვავილების სახელები. ისიც გაიგო, თუ რაში არიან ისინი გამოსადეგი — ზოგი სამკურნალოდ ვარგა თურმე, ზოგი საუკეთესო თაფლს იძლევა, ზოგისგან ზეთს ხდიან და სხვა და სხვა...

ახლა მესამე ნინოც ვთქვათ... მას უზომოდ უყვარს თავისი მშობლიური სოფელი ფხელში ყაზბეგის რაიონში, და იმდენს უამბობს ამხანაგებს მთებზე, დარიალის ხეობაზე, მყინვარწვერზე, თერგზე, რომ ახლა მისმა მეგობრებმაც კარგად იციან, რა ლამაზია ყაზბეგის რაიონი. კიდევ ლექსებსაც წერს ნინო. შარშან ამ დროს გაზაფხულის წვიმაზე დანერა ლექსი და რაკი ახლაც გაზაფხულა, მოდით, ყველამ ერთად წავიკითხოთ ეს ლექსი:

შხაპი-შხუპი,
შხაპი-შხუპი,
წვიმა მოდის შხაპუნა,
შხაპი-შხუპი,
შხაპი-შხუპი,
კარზე მოგვიკაკუნა.
გვეუნება — გამოდითო, —
შხაპი-შხუპი შხაპუნა,
გვეუნება — ვითამაშოთ, —
შხაპი-შხუპი შხაპუნა.
გავედით და
მთლად გავგწუნა,
შხაპი-შხუპი შხაპუნა!

ილია მხატვარია — ოქტომბრელების შემოქმედებით ალბომში მის ნახატებსაც ნახავთ. აი, მას თავისი მასწავლებელი დაუხატავს. ამხანაგები ირწმუნებიან, რომ „ძალიან ჰგავს“... ილია თავისი ვარსკვლავის გოგონებსაც უსათუოდ დახატავს და სარვამართოდ ამ სურათებით დასაჩუქრებს მათ. ხატვა ყველაფერზე მეტად უყვარს, თუმცა სირბილი და თამაშიც — არანაკლებ. მაგრამ სირბილში ოთარი ვერავენ ვერ უსწრებს. ოთარი კალათბურთსაც, თამაშობს და საერთოდ ფიქრობს, რომ სპორტი ძალიან საჭიროა ადამიანისთვის. თუ გინდა ჰერკულესიგი თი ღონიერი გამოხვიდე, უნდა ბევრი ივარჯიშო, ამბობს ის. ვინ არის ჰერკულესი? ჰერკულესი ბერძენის გმირი იყო, იმის მჯობნი ქვეყანაზე არც ერთი გოლიათი არ დაბადებულა, და იმიტომ ჯობნიდა ყველას, რომ მუდამ ვარჯიშობდაო.

— ჰერკულესის ფაფა გიჭამია როდისმე? — ეშმაკურად ევითხება ოთარი ნინო, — ხომ იცი, ჰერკულესი იმიტომ ჰქვია, რომ ჰერკულესის ძალ-ღონეს მოგცემს, თუ ხშირად ჭამ.

— არა, — ირცხვენს ოთარი. — ფაფა არ მიყვარს.
— მაშ შენგან ჰერკულესი არ დადგება. — ასკვნის ნინო.

საბოლოო დასკვნა კი ასეთია: ოთარიც იბერკულესებს, ილიაც იფიროსმანებს, ნინოებიც ასახელებენ სამშობლო, თუ მუდამ მზად იქნებიან შეასრულონ თავიანთი თავის, მშობლების, მშობლიური სკოლის და საყვარელი სამშობლოსათვის მიცემული, გულში ამოჭრილი პირობა — ყოველდღიური გმირობის პირობა.

ქ. შარქისი სსხ. ს.პ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
პ ი ბ ლ ი თ ე ა

ბარბელ ხანაშვილი
ჩივი, მელა და
ბაბოს კაღვო



ჩიტმა ჩეკა, ჩეკა, ჩეკა—
სამი ბარტუი გამოჩეკა:
ერთი—ლელა,
ერთი—თიკო,
ნაბოლანას ერქვა ეკა!
საიდანდაც ნელა-ნელა,
მიცუნცულდა ხესთან მელა:
— თუ არ გინდა, მოვჭრა თელა,
გადმომიგდე შენი ლელა!
— როგორ! ლელა, თიკო, ეკა



დედოვანამ შენთვის ჩეკა?—
აჭიკჭიკა რისხვით ჩიტო,
რისხვით სარე დაბრეკა!
არ მოშორდა მანც თელას—
თელის ძირში იდგა მელა:



— გადმომიგდე ეკა, თიკო,
გადმომიგდე შენი ლელა!
სად იყო და სად არ იყო,
უცებ მადლი ღამისხელა,
მადლთან კიდევ მონადირე—
წამობდგნენ თავზე მელას!
გასიეს მელა ცემით,
გაუსივეს ბრივეთ თავი!
ბებოს ზაღვოს უკეთია
იმ მელის რუსი ტყავი!



გორგი უყვას თინიკოს

ჩემო გოგო-გოგონა,
ჩემო თინა, ჩემო თიკო,
საცა ნახავ, ციცქნა თითი
განა უნდა ტორტში ტიკო!
მე სულ გაქვებ!—გადავუდი
თიკუნის დიდ ქებანსე!
შენ კი ამ დროს გადასულხნარ
ტორტში თითის ტიკებანსე!

მუდამ ამას გასწავლიან
ხან—მამიკო, ხან—დედიკო;
საცა ნახავ, ეს თითები
განა უნდა ტორტში ტიკო!
ვთქვათ, სუფრასე მოიტანეს

უსხოდ მოკასმული ტორტი!
გაქანებ უცაბუდად
და შივ ტორტში ტიკებ ორ თითს!—
ელიმება თიკო-თინას:
— სულ ვიქნები დამჯერიო,
თღონდ ჯერ მე კადმოძილან
ტორტის დიდი ნაჭერიო!



ქალაქი „პანკმა“

ახე რამით შეიძლება ქიმიკი ლაშენი ვეირავდინი



სადენარის კვითრნი-მუხთაზ რახევა, მხაბვაჰი- ვიკი ლაშენი.





ანსჯურიც
სამს ჰქვია.

ყოჩად ჰქვია!
ან ხომოთ
შეაზინა
ლომი.



ძივის ში
გამოვანდები
ამ საშინელ
მხარს?



გაოგანდებითა მხარე ამხადი!!!

ჰქვია
იბრემდა

მიშვალეაბთ!!!
ჰინდემ ჰიოო...



ნა, ართრთუდე
ბამოვროთი!

არრრთი...
თრრ...



ვანა...

უუუუ...



სახს...
როგორ შე-
დგენ ომბი.

ვაჰა...

მეუბნობს
ჰქვია!

ჰქვია ლენის
მკობევინი ლიბახეხი



ანი თორბე
ჰინდემ
ლაგნავი!!!

რცხილამ ფესვებზე სივრილად ივარსო და ტრექობა ააზრავდა.

თიხის გორახს შევინდა. — ვი-უ-ვე! ვე! — დავეიერება მოუნდა, მაგრამ გული ისე აურქროლდა, კრინტის დაძვრავ ვერ მოახსრო. სწრაფად მოწყდა შეჩვეულ ადგილს, და გადამხმარ ლაშქარას, რომელსაც იქამდე თავმოქმონდნ დაძვურებდა, ხელ გადმოუფხვინა, გადმოუფხვინა და სიამოვნებისაგან გაბიძარდა. უჩვეულო რამ ხდებოდა, — იშლებოდა და მაინც არნახულ ბედნიერებას განიცდიდა.

— წყალი! — ლაშქარას ნეტარებისაგან გაბრძოლა.

ლაშქა კამეჩები ვახზე გრძელ მორს მოათრევდნენ, მორს მტკერის კორიანტელი ასდევნებოდა.

დაღლილი ნიკა უღლის გვერდზე უხალისოდ მიაბიჯებდა.

— რა, რა, ვუბო, დუბო! — მოესმა სათარის ხმაურში.

— ოო-პო. კამეჩები, ოო-პო! — ნიკამ უღელი გააჩერა. გზოდან გადაუხვია, შეტრუსული მძევი ნაღლით ასხანა და შერადობს ჩაუვდა.

დაკვივი გადმოჩურხურებდა. პატარა გუბები სმული წიკრები ტიტეტივებდა. ფსკერზე კენჭები ჩანდა.

— უფერო, კაცო, ჩიჩქანა წყარო მოსულა! — ქული შიობინდა ნიკამ და წყაროს დევნიდა, — ისევ ისეთი გემორილია ეს დალოცვილი! — და ხელმეორედ დაქნა.

ნელში გაიმართა, ქამარზე ჩამოკიდებული დანა მოიხსნა და ხეს ქერქი ასქრა, მტკავლის სიგრძე ღარი გაითალა და წყაროს პირზე დაადო. ახლა ჩიჩქანა და ღარის შეუღერია სახე. მერე ნამოხტა, ფერდობი აირიზინა და — ბიხო, კამეჩო! — შესახბა.

ჩიჩქანა წყარო

პარლუ არასაშვილი

მატყარი თამაზ ხაშიშვილი

კამეჩები შორი ვერ შინაც არ მივებნათ, რომ მთელ სოფელს ხმა მოედო.

— ჩიჩქანა წყარო მოსულაო.

დიდი თუ პატარა, ყველა მოდიოდა მის სანახავად. კი არ მოდიოდნენ, შორბოდნენ. ყველაზე წინ გოგონები და ბიჭუნები მოხტოდნენ ფრიამულით.

დიდნი ხანია სოფლებს ჩიჩქანა წყარო აღარ ენახათ, მონატრებოდათ მისი გემო, მისი მხელებით შუბლის გაგრილება.

წინათ მოხუცები პიროჯვარს იწერდნენ, თავს იქნევდნენ და ამბობდნენ, განგების ნებააო.

ახლა ახალგაზრდები გეოლოგიის კანონებს იძულებდნენ და ასე ცდილობდნენ ჩიჩქანა წყაროს საიდუმლოება გამოეცნოთ. მოხუცები კი უსმენდნენ.

მაგრამ ბოლოს ყველა მაინც ამას კითხულობდა:

— რა უდნაური წყაროა? რატომ არ მოდის ყოველთვის? აიძლერევა და დაწყდება! მილებს ჩაენახოთ სოფელში ვახავანდა და მაშინვე წყდება! რატომ ყოველთვის არ მოდის?

ჩიჩქანა წყაროს ესმის მათი მსჯელობა.

ზრახობს, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობს.

ხოლო საღამოობით, როცა ნიავი დაუბერავს, აგრილდება და მთელი სოფელი იძინებს, რცხილა, და თელა ტოტებს ხრინა, აღერსით უსვებენ ცოთლებს წყაროს და ვერჩრულებიან.

— შენი ქირიმე, შენი, ასეთი პატარა და კარგი რომა ხარო. შენ როცა არ მოჩურხურებ, თვევნი ვადის და წლებად გვეჩვენებ. სოფლები ავილიან და ჩაივლიან და სულ გიგანებნენო.

ჩიჩქანა წყაროსაც უხარია მათთან ყოფნა, უხარია, რომ რცხილას და თელას ესმით მისი და თითქმის ყოველამ ედუღუნება თავის მეგობრებს:

— მხოლოდ თქვენ გესმით ჩემიო. — მერე ვაჩუქდება, მაგრამ თავს ვეღარ იკავებს და მეგობრებს გულახდილად ესაუბრება, — ვერ გამოიგია, რა უკვირო? წყარო უნდა ვყოფიყოს, ანაკრა და გემორილი. რად უნდა ვყოფიყოს მღერი და უგემორი? როგორც კი ავიძლიერა, მაშინვე შემოჩხვება, დაემსურებები, დავრელები და აქედან შორს, ძალიან შორს მივივარ. ცალკე ის მამარაზებს, რომ ავიმ-

ღვრივ, ცალკე კიდევ ის, რომ ჩემი არ ესმით ასე დაბოღმებული ვაგროვებ ძალას, ყოველი მხრიდან ვისრუტავ ნვეთებს... ყველა ნეტოს კი არა, მხოლოდ კამკამას და ცამკამას ვაღლის, ვაგროვებ, ვაგროვებ... შენდაც თიხას თქიქნი დიდი მომომინებოთა და იმედით, და თქვენზე ძალიან მე მიხარია, უცებ რომ გადმოჩურხურებდები. მე ხომ იმისთვის ვარ, რომ ჩემი მეგობრები და ადამიანები გაუახარო. აბა, უთქვენოდ სივოცლებ რად მინდა! მავას როგორ ვიკადრებ, წყარო მერქვას და მღერი მოვდიოდ, წყარო მერქვას და სასმელად არა ვვარგოვდე ეს ხომ იგივეა, წყარო მერქვას და წყარო კი არ ვიყო. რად მინდა ტვლილი სახეიბი.

კიდევ დაიბრებინა რცხილა და თელა, მოფერებინა ციცქნა ჩიჩქანა წყაროს და კუთხებიან:

— მილებს რომ ჩაენახებ შენს ნახაყვანად, მაშინ რატომღა წყდება?

— იმტომ, — და ისევ ადუღუნდება ჩიჩქანა წყარო, — იმტომ, რომ ჩემი საკუთარი ფსი და ძალაც ვიცი. პატარა წყარო ვარ. ამ მილებს ვერ შევკვებები. მე თქვენიან ერთად ვარ კარგი. მილებში კი სხვა წყაროები-ით უნდა ვავთბებ. აბა, სოფელში რამდენი წყაროა და იმ უბედურებს საკუთარი სახეც მქვლიანია წყაროს, ზოგს კიდევ რასა და რას. არ მინდა არც სალიწინის ონკანი, არც ცემენტის უპი, არც მარმარილოს სვეტები, ოღონდ საკუთარი სახელი მერქვას, თქვენს თავს ნუ დამავიკლებენ და ხასიათს ნუ გამომიცლიან.

ახლა ჩიჩქანა წყარო შევკითხება რამეს რცხილას და თელას, ისინიც აპირაღდებინა და ჩურჩულით უყვებიან ამ ქვეყნის ამბებს.





წილი დასაბამიში ჩაერთვალა თითაზა

— ცუტრუმელა გიგონე,
 ცისფერთელა ლელაო,
 ჩაოთფულე თითებზე,
 ვინც შენ გიყვარს—ველოო.
 — ვინ მიყვარს და—დელიო,
 მამა, ბებო, თინაო,
 ლია—თენჯილა დაიკო,
 ლია—თენჯილაო,
 გოგო პაპაწინაო,
 მიყვარს ციყვი, თოჯინა,
 ბოჩოლა და ბათუა,
 ხატაურაკ კი მიყვარს
 კნუტებთან რომ გართულა.
 — დათვის ზელი არ გიყვარს,
 — დათვის ზელია?
 — ან ვეშაკი მელია?
 — მიყვარს, მაგრამ ხელებზე
 თითი გამომელია.



სირა ჰიბიაშილი სოფალი

ბიჰმა დახატა დიდი ხე,
 ხის ქვეშ შობილა ორფერი,
 ბგეყა, ქრელი გოჭები,
 მანქანა—შეგ ზის შოფერი;
 თონე და გრძელი შოთები,
 დიდდო—პურის მცხობელი,
 ბროლიაც ჩასვა სურათში,
 დაარქვა—“ჩემი სოფელი”.



ლილა სხილია გამოს გოგო

— ბემოს გოგო, სად ჰყავდი
 წაუვანილი ბების?
 — სად და სტუმრად, შატილში,
 სადაც დიდი შთები,
 სადაც ქარაფებია,
 სადაც ქიუხებია...
 — კიდევ, კიდევ, გვითხარი,
 რა გაჩვენა ბებიამ?
 — ოა და... ჯიხი, ურქენდა
 კლდეებს ქარაფების,
 იცით? რო შუის ჩანქერზეც
 ამიყვანა ბებიამ,
 წლის წისკვილიც მანახა,
 ამოდენა თვლები აქს...
 იცით, კიდევ შატილში
 ვინ მანვენა ბებიამ?
 ასოცი წლის მოზუცი—
 დათოვლილი თმები აქს.



ლილა სასთინი სარგამარტო თიგული

ქოთნებსა და გრძელ ყუთებში
 კობტა პაიი გავა შენე
 და აიენის ყველა კუთხე
 ყვავილეტთა დავამშენე.
 ყვავილებმა რომ იხარონ,
 ყოველ დღით ვერწყავ და ვვულო,
 რომ მივართვა ჩენს დღელიკოს
 სარგამარტო თიგული.



თინაინა ზოშია სიკაითის ნილ სიკაითი

— ცხვარო, ცხვარო, დაიკა,
 რაღაც გითხრა, მინდა
 მატული უნდა მანუქო,
 მსურს მოვექსოვო წინდა.
 — მახსოვს, როგორ უდილი
 ჩემს პაპია კრავებს,
 პოლა, სწორედ ამიტომ
 მატულს ვერ ღაგკავებ.




თინა ზოშიაინი კანქობანა

ეს კენჭები გასულ კვირას
 მე მოვებნე ღვლის პირას.
 რა კარია, რა კარგია,
 არც ერთი არ დამეკარგია.
 ერთი, ორი, სამი, ოთხი,
 დამივიწყდა დათვლა განა?
 შოდი, ტახტზე ჩამოვსხდეთ და
 ვითამაშოთ კენჭობანა.





ბედნიერი?



ერთ დილას ისეთი თოვლი მოვიდა, ყველა ბავშვის გულის გამხარებელი. ის თოვლი რომ გენახათ, უსათუოდ იტყოდით: რა ბედნიერებაა, რომ ამ ქვეყნად არსებობს თეთრი ფერი, ყინვა და ფანტელების ცეკვაო!

ერთი სიტყვით, რა ბედნიერებაა ზამთარიო — ნამოგცდებოდათ იმ მშვენიერ დილას. მაგრამ ნურას უკაცრავად! — ყველა როდი ფიქრობდა ასე. აი, მაგალითად, თუ იმ დილით ერთი სახლის ფანჯარაში შეიხედავდით, ასეთი სურათი დაგიდგებოდათ თვალწინ: ზის მაგიდასთან გამხდარი ბიჭი და ძალიან უბედური სახით შესცქერის თეფშზე დადებულ კარაქიან პურს და ცხელ ფაფას. იცის, რომ ყველაფერი უნდა შეჭამოს. ჭამს კიდევ, მაგრამ ვაი იმ ჭამას. მერე ეს ბიჭი სხვა მაგიდასთან ჯდება და გადაშლილ ნიგნებს და რვეულებს ჩასცქერის. იცის, რომ გაკვეთილები უნდა ისწავლოს. სწავლობს კიდევ, მაგრამ ვაი იმ სწავლას. ამის შემდეგ ბიჭი ვიოლინოს ამოიღებს ბუდიდან, ნოტებს გაშლის და მწუხარე სახით უკრავს. უკრავს, მაგრამ ვაი იმ დაკვრას! მერე ჩანთაში ნიგნებსა და ნოტებს ჩაანყოფს, ვიოლინოს ისევ ბუდეში ათავსებს და სკოლაში მიდის. მიდის, მაგრამ ვაი იმ წასვლას — გატენილ ჩანთასა და ვიოლინოს ძლივს მიათრევს. ირგვლივ თოვლია, ბიჭი თოვლს ისე უყურებს, თითქოს ფანტელები დღეს კი არა, დიდი ხნის წინ მოსულიყვნენ და თავის მობზრებაც კი მოესწროთ. თოვლის საამო ხრამუნი ღამაში მუსიკასავით ისმის, ბიჭი კი უსმენოსავით გულგრილად მიაბიჯებს.

ასე გავიდა ზამთარი და დადგა მშვენიერი გაზაფხული. ტყემლისა და ნუშის ყვავი-

ლებით გადაიპენტა არემარე. ჩვენი ნაცნობი ბიჭი კი ისევ იმ დღეში გახლდათ: სკოლაში დადიოდა, კარაქიან პურსა და ფაფას ყლავდა, ვიოლინოს უკრავდა და წიგნებში ჩაფლული გაკვეთილებს თავაშულებლივ იზუთხავდა. ცაში მერცხლების გუნდი დასრიალებდა, ბიჭი კი ვერ ხედავდა. აბა როგორ დაინახავდა, — თავი ხომ მუდამ დაღუნული ჰქონდა. მართლა, სულ დამეიწყდა, რომ სანამ გაზაფხული დადგებოდა და იმის წინ კიდევ ზამთარი, — მანამდე შემოდგომა იყო. იმ შემოდგომის რთვობამაც და ოქროსფერი ფოთლების შრიალმაც ისე ჩაიარა, ბიჭს არც შეუმჩნევია. თუმცა ერთი რამ კი უნდა ვლინდებოდა, რომ წიგნებში შემოდგომაზეც ეწერა, ზამთარზეც და გაზაფხულზეც. რაც მართალია, მართალია, კარგად ეწერა, მაგრამ დაწერილი და ნანახი ან განცდილი განა ერთია?.. რა თქმა უნდა, არა! ჰოდა, იმას ვამბობდი, დადგა გაზაფხული. დადგა კი არა, ლამის უკვე მთავრდებოდა, რომ გამოცდებიც დაიწყო სკოლაში. ამიტომ ერთ ჩვეულებრივ დღეს ბიჭმაც გამოცდაზე გასწვია. ჩვეულებრივი დღე როგორ იქნებოდა, როცა არაჩვეულებრივად ეყოფა ბუნება, მაგრამ ბიჭისთვის ისიც ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორც წელიწადის სხვა დღეები...

ქუჩაში, ერთი სახლის წინ, ბიჭის ტოლი გოგო სახტუნელატი დახტოდა. „აი, ბედნიერი, — გაიფიქრა ბიჭმა, — შეუძლია არხინად იხტუნაოს და არსად ეჩქარებოდეს“. ეს სიტყვები ბიჭს ხმამაღლა წამოსცდა. გოგომ შეხვდა, სტუნვა არ შეუსყვებია, გულზე მარჯვენა ხელი დაიდო და ისე მიაჩერდა ბიჭს, თითქოს ეკითხებოდა, მე ვარო ბედნიერი?

— რა თქმა უნდა, ბედნიერი ხარ! — უხმო კითხვაზე ხმამაღლა უპასუხა ბიჭმა, — შეციძლია იხტუნაო და გამოცდებზე არ იფიქრო.

გოგომ გაუღიმა და უპასუხა:

— მართალი ხარ, მე ბედნიერი ვარ. ოღონდ, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, შენთვის რას ნიშნავს ბედნიერება, აღმოჩნდება, რომ მე შენზე უბედური ვყოფილვარ.

— ეგ როგორ? — ვერ გაიგო ბიჭმა.

— ეჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარს ნამცხვრები და კანფეტები! დილით ძილი ხომ ქვეყანას მიჩრევინა...

— მერე?

— მერე ის, რომ საბავშვო სკოლაში ვხსნავლობ და უფლება არა მაქვს, რაც მსურს, ის ვაკეთო. აი, ასე უნდა ვიხტუნაო, ვივარჯიშო და მხოლოდ ის ვჭამო, რაც სულაც არ მომწონს!

ბიჭს ძალიან შეებრაღა გოგო, მაგრამ გოგოს უბედურება არ ეხატებოდა სახეზე. პირიქით, იგი გაბრწყინებული განაგრძობდა:



— სამაგიეროდ კარგი ბაღერიანა ვიქნები. მე ძალიან მიყვარს ცეკვა!

ბიჭმა გზა განაგრძო და ახლა ერთი სახლის წინ სკამზე ჩამოძვდარი დედაბერი შენიშნა, რომელიც გაზაფხულის მზეს დამჭკნარ სახესა და ხელებს უფიცვებდა.

„აი, ბედნიერი, — გაიფიქრა ბიჭმა, — არსად მიეჩქარება, ზის სკამზე და მზის სხივებით ტკბება“. ამ დროს მოხუცმა თვალები გაახილა, ბიჭს გაუღიმა და ჩაიჩიფრდა: — რა ბედნიერი ხარ, შვილო, მთელი ცხოვრება წინ გიდევს. შენი ფოთლები სიმწვანით ახლა იმოსება, ჩემს ყვითელ ფოთლებს კი რა ხანია ქარი მიაქროლებს. სამუდამოდ, სამუდამოდ მიაქროლებს... მაგრამ მადლობა ბუნებას, რომ ამ გაზაფხულსაც შემახვედრა; მადლობა ბუნებას!“ — ბიჭმა გამოცებით მთარიდა თვალი მოხუცის დაღარულ სახეს და გზა განაგრძო. სკოლამდე კიდევ რჩებოდა მანძილი, მაგრამ არც ავტობუსში ჩამჯდარა, არც ტროლეიბუსში. ხოლო თუ ეს ბიჭი სოფელში ცხოვრობდა, მაშინ, ცხადია, ტროლეიბუსი არც იქნებოდა და ორღობეში მოუნებდა გზის გაგრძელება. ჰოდა, თუ ორღობეში მიაბიჯებდა, მაშინ ხომ შეიძლებოდა, ერთ-ერთი სახლის ეზოში ბატკნისთვისაც მოეკრა თვალი? თუმცა ქალაქის რომელიმე ეზოშიც შეიძლება ბატკანი ბლაოდეს. მოკლედ, სოფელში იყო ეს ბიჭი თუ ქალაქში, დედაბრის შემდეგ მართლაც ბატკანი დაინახა, რომელიც ბუჩქს მისდგომოდა და ფოთლებს ახრამუნებდა.

„აი, ეს ბატკანი ჩემზე ბედნიერია.“ — მტკიცედ გადაწყვიტა ბიჭმა.

— მევე? — დაიბღვალა ამ დროს ბატკანმა.

— რაო, მართალი არ ვიფიქრე? — ჰკითხა ბიჭმა.

— მევე? — ისევ გაეხმიანა ბატკანი, — მე უბედურრიც ვარ და ბედნიერიც.

— რატომ? — დაინტერესდა ბიჭი.

— ამასწინათ მთელი უბნის ბავშვები

თოჯინების თეატრში სულ კისრისტეხით გარბოდნენ. მეე, მეე, მე არ წამიყვანთ-მეთქი? — მივაძახე, მაგრამ ვინ გიგდო ყური! ეჰ, რომ იცოდე, როგორ მინდა, რომ სკოლაში დავედიოდე, შენთან ერთად კინოში მულტიფილმებს ვნახულობდე; თეატრში კი — ახალ წარმოდგენებს... მაგრამ მე ბატკანი ვარ და ჩემი ხვედრიც მხოლოდ „მეეს“ ბლავილია... ბიჭს ძლიერ შეეცოდა ბატკანი, ხელი გადაყო და მიეფერა.

— არა უშავს, — ისევ ბატკანმა დაამშვიდა ბიჭი, — მე მაინც ბედნიერი ვარ, რადგან შენისთანა კეთილი ბიჭები არსებობენ ქვეყანაზე. შენ ხომ კეთილი ხარ?

ბიჭმა გაუბედავად დაუქნია თავი ბატკანს და იმაზე დაფიქრდა, მართლა კეთილი ვარ თუ არაო. ამ დროს დანების მღესავემა ჩამოიარა და დაიძახა: „დანებს ვლესავ, დანებს ვლესავ!“ სახლებიდან დიდმა და პატარამ გამოარბენინა ვინ მაკრატელი, ვინ ხორ-

ცის საკები მანქანა, ვინ კიდევ დანა. ერთი კაცს თავისი ცოლისთვის ჩაველო ხელი. ცოლს ენა გამოეყო, ქმარი კი დანების მღესავს უძახოდა: „აბა შენ იცი, ჩემს დედაკაცს ენა დაუბოლაგვდა და ისე გაუღეს, შემოდგომამდე ეყოსო“. ხალხმა გულიანად გადაიხარხარა. ბიჭმა მღესავის მხიარული სახე და ბზრიალა ნაპერწკლიანი საღესი ქვა რომ დაინახა, იფიქრა, ეს მღესავი მაინც იქნება სხვებზე ბედნიერი — როცა უნდა, მაშინ გამოჩნდება, როცა დაეზარება, არხეინად შინ დაჯდებაო. მაგრამ ამ დროს ისევ ბატკნის ბლავილი მოისმა და ბიჭმაც იქვე გაბაიფიქრა: „არა, მღესავი არცთუ ბედნიერი კაცია; იმან ხომ იცის, რომ მისი ვალესილი დანით ბატკანსაც დაკლავენ, გოჭსაც და ქათამსაცო“.

ბიჭმა სკოლამდე მიაღწია და ყველა გამოცდაში ხუთი მიიღო. აბა, სხვანიარად როგორ იქნებოდა — იგი ხომ მთელი წელიწადი ნიკნებში იყო ცხვირიჩარგული.

მაგრამ შემდეგი სასწავლო წელი რომ დაიწყო, ბიჭს არც შემოდგომის სიღამაზე გამოჰპარვია, არც ზამთრისა და არც გაზაფხულისა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ამჯერად ყველაფერს აკვირდებოდა: ფოთლებსაც, ფანტელებსაც, ყვავილებსაც, ადამიანებსაც და ცხოველებსაც. იცოდა, რომ ამ ქვეყანაზე ბედნიერებიც არსებობენ და უბედურებიც. ბედნიერი კი ის იყო, ვისაც შეეძლო თავისი გასაჭირის მიუხედავად სულით მხნე, ხოლო სხვებისათვის იმედის მიმცემი ყოფილიყო; ვისაც შეეძლო სხვისი ტკივილი და სიხარული გაეზიარებინა. ამიერიდან ბიჭი აყვავებულ ხეებში და ვიოლინოს ხემის სრიალში მოცეკვავე გოგონას ხედავდა: დახეთქილი დედამინის სუნთქვასა და შემოდგომის ფოთლებში — დედაბრის დაღარულ, კეთილსახეს, ხოლო თოვლის ფანტელების ფარფატი ბატკნის კუნტრუშს აგონებდა. ამიტომ ეს ბიჭი ყველაზე ბედნიერი ბიჭი გახდა მთელი დედამინის ზურგზე.



ცნობილი ქართველი მეცნიერი და საბავშვო მწერალი ნიკო კეცხოველი ჩვენი ჟურნალის ერთგული მეგობარი იყო. მისი წიგნები „არსიანიდან მოვდივარ“ და „ცხრა მთა გადმოვიარე“ პატარების საყვარელ წიგნებად იქცნენ, ხოლო ავტორი რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახდა.



დღეს ბატონი ნიკო ცოცხალი აღარაა, იგი სულ ახლახან გარდაიცვალა. მისი ხსოვნის პატივსაცემად ეს პაწია მოთხრობა ამოვიღეთ „დილის“ სკივრიდან.

მატყარი მამავ სუციოვილი

ზღაპრების გუდა

პაპა სავარძელში იჯდა და კითხულობდა. ნიკა შემოღარფატდა ოთახში და მუხლებზე ხედი მოკბხია:

- ზღაპარი მიაძმბე!
- არა მცალია, მერე იყოს.
- მიაძმბე!
- აბა, როგორ გიამბო, ზღაპრების გუდა დამეკარგა.

ნიკამ კოპები შეიკრა და გაბრუნდა. პაპა კითხვით გაერთო.

ნიკამ არ მოისვენა, ხან ტანტის ქვეშ შეძვრა, ხან კარადა გამოაღო; ბოდოს ოთახის კუთხეში გაჩერდა, ვითომ რალაც აიღო, ხედები წინ გაიშვირა და პაპისკენ წამოვიდა:

- პაპა, პაპა!
- რა იყო, რა არის?
- შენ რომ ზღაპრების გუდა დაკარგე, ვიპოვე, პაპა,— და გაუწოდა ცარიელი ხედები, ვითომდა, ზღაპრების გუდააო.

პაპას გაეციინა, დაისვა მუხლზე და ერთის მაგივრად ორი ზღაპარი უამბო.





დავით კაკაბაძე



ზვიმ ზამთარია


თბილისში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მესამე სართულზე სხვა ქართველი მხატვრების ნამუშევრების გვერდით გამოფენილია დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ტილოები.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში მოთავესებულ ნახატზე თქვენ ხედავთ იმერეთის მთა-გორიან პეიზაჟს, მაგრამ ეს მთა-გორები თითქოს ზევიდან არის დანახული. იგი თითქოს რუკაა, ან თითქოს ბეზიას ბოღჩიდან ამოღებული ფერად-ფერადი ქსოვილების ნაკუწებია ერთმანეთზე გადაკრებული. იგი კიდევ შეიძლება შევადაროთ ხურჯინის ცალს ან ცხენის ასალს, ანდა ქრელი საბნის პირს, რომელიც კარგ ამინდში სოფელში თოქზე არის გადაკიდებული და გამზეურებული.

იმერეთის პეიზაჟი პირველად ასე დავით კაკაბაძემ დაინახა.

დავით კაკაბაძე თქვენსავით პატარა იყო, როცა ფანქარი აიღო ხელში და იმ სურათის გადახატვა სცადა, საიდანაც იმერულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მამამისი იმზირებოდა. ეს სურათი ვიღაც მოხეტიალე მხატვარს დაეხატა. პატარა დავითმა სურათს მინა დაადო და ნახატი ასე გადაიღო. ეს იყო მისი პირველი ნახატი. ამის მერჯ ხატვა მას მოთხოვნილებად გადაექცა, ხატავდა ნახშირით, ფანქრით, ზეთის საღებავებით. საღებავებს ქუთაისის პირველი გიმნაზიის პირდაპირ, დუქანში ყიდულობდა.


შემდეგ დავით კაკაბაძე ხატვის ხელოვნებას ეუფლებოდა თბილისშიც, მოსკოვშიც, და ბოლოს პარიზშიც გაემგზავრა. მან მრავალი სურათი დახატა და სახელი გაუთქვა თანამედროვე ქართულ მხატვრობას.



მკურნალე პირდაპირ


მკისრული მძივა

სანაწამა პეღურამ ფეხი იტყინა, ახლა მას ცალ ფეხზე-
ლა შეუძლია სტობა, წარმოიდგინე, როგორ უძენილდება ვერ
წარმოიდგინე? მაშ შენ თვითონ ისტუნავე მასავით ცალ ფეხზე-
ოლინდ მეორე ფეხი მაგრად უნდა მოხარო და ხელით დამჭი-
რო. სტუნისას ფეხები შენაცვლე. შეეჯობრეთ ერთმანეთს,
ვინ უფრო მეტჯერ ახტება.





ღაოთხივით იბქაქაქა

მოდი, ახლა ოთხით გაიარე, მაგრამ ისე, რომ მუცელი ბე-
ვით გაქონდეს, დახედ სურათს და მიხედვით, რომ ასე მოსია-
რულე ბავშვი ძალზე წააგავს მაგილას, წარმოიდგინე, რომ ამ
მაგილაზე ჩაიდანი და თუფუბი დევეს! პოლა, სხეული ისე უნდა
გეჭიროს, იქიდან არაფერი გადმოივარდეს, ასეთ მაგილას წინ
და უკან სიარული შეუძლია.



ბაყაყივით იბქუნა

გინახავს, როგორ ხტის ბაყაყი? ჯერ ჩაცუქდება და თა-
თებს მოკეცავს, მერ უცებ ახტება და ჰაერში ოთხივე ფეხს გა-
ყოფით ხტუნვა — ჩაცუქდება, ხელფეხგამოხლი ახტობას, და
დახტომისას ისევ ჩაცუქებას?



ცხენივით იბქავა

ახლა მოდი, ცირკის ცხენით გაიარე, სომ გინახავს, ცხე-
ნი როგორ მალლა სწევს წინა ფეხს ცეკვისას, პოლა, ასე ფეხ-
ანულ სიარულში შეეჯობრეთ ერთმანეთს, ვინც უფრო ლამა-
ზად და დიდხანს ივლის, გამარჯვებულიც ის იქნება.

მ. მამბის სხ. ს.პ. სსრ
სხნიშვით. 1 ავსალ.
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

რა ბეპია უნ?

ქალის სხედაბი

- ასმათ — უმანკო, პატიოსანი
- ბაია — მინდერის ყვევილი.
- ბედისა — ბედნიერი.
- ბელა — ლამაზი.
- ბორენა — წაბლისფერთმიანი.
- გალინა — წყნარი, აუღელვებელი.
- გვანცა — ცელქი, მოუსვენარი.
- დავარ — სამართლის მქნელი, მსაჯული.
- დალი — ნადირობის ღვთაება.
- დედიკა, დედუნა, — დედისა.
- დენოლა — გოგონა.
- დესპინე — ქალბატონი.
- დინარა (იგივეა, რაც თამარი) — ფინიკის პალმა.
- დუღუნა — მსუქანი.

- ეთერ — ვარსკვლავი.
- ეკატერინე, ეკა — წმინდა, უმწიკლო.
- ელენე — ნათელი, მანათობელი.
- ელფორა, ნორა — თანამგრძობელი, გულმოწყალე.
- ვალენტინა — ძლიერი, ჯანმრთელი.
- ვენერა — სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი.
- ჯინაზა — მსუქანი.
- ჯოია — სიციცხლე.
- თამარ — ფინიკის პალმა.
- თალიკო — იგივეა, რაც თამარიკო.
- თეა, თეო — ღვთაება.
- თეკლე — ღვთის დედა.
- თეონა — ღვთის ფიქრი.
- იზაბელა, იზა — ღვთის ფიქრი.
- ირინე — მშვიდობა.
- ქესანე — მინდერის ყვევილი.
- ქლარა — ნათელი.
- ქესარია, ქესო — დედოფალი.

ჯურაბ ზუმბაზურიძე



კიოს რინეზი

ყველას გიყვაროთ ცირკო. განსაკუთრებით ალბათ კიოს ფოკუსები გიტაცებთ. შარშან კიო „დილის“ რედაქციას ვუვია და რამდენიმე ოინი გვასწავლა. ვბეჭდავთ ორ იოლ ოინს, ვინძლო თქვენც მოგვეწონოთ. კიოსნარი რთული ოინების გაკეთება ხანგრძლივ ვარჯიშს და დიდ ოსტატობას მოითხოვს, მაგრამ ზოგიერთი იოლი ფოკუსის გაკეთებას თქვენც შეძლებთ. აბა, ვცადოთ.

იციოთ, კიქები რომ მღერიათ? არა? მაშ ადექით. რამდენიმე ბროლის კიქა მაგიდაზე დაწყეთ, თითოეულში სხვადასხვა დონეზე ჩაასხით წყალი. ხელები დაიხანეთ. შემდეგ ოდნავ სველი თითი კიქის პირს სწრაფად მოუსვით და კიქა ამღერდება. რაც უფრო ძლიერ დაქერით თითს კიქას, ხმა მით უფრო დიდი იქნება.

ბა, რაც ნაკლებად—პირიქით. რაც მეტი წყალი იქნება კიქაში, კიქა მით უფრო დაბლ ხმას გამოსცემს. როცა კარგად გაიწყაფებით, კიქებს მშვენიერად ამღერებთ.

ვინემ რომ გითხრათ, მოხარულნი, გაფტქვილი კვერცხს დაუფუნებლად ჩავაძვრენ გრაფინის ვიწრო ყელშიო, ცხადია, არ დაიჯერებთ. არადა, თურმე ამის გაკეთება თქვენც შეგიძლიათ. როგორ? აბა, სცადეთ: ცარიელ გრაფინში ჩააგდეთ ანთებული ასანთი და ცეცხლმოკიდებული ქალოლი, შემდეგ გრაფინის თავზე სწრაფად დადეთ მოხარული და გაფტქვილი კვერცხი. გრაფინში ალი ჩაქრება, შიგ კვამლი ჩაღებება, კვერცხი კი... შეინძრევა, წაგრძელდება, გრაფინის ყელში ჩაძვრება და მალე ფსკერზე იგორებს.




სათვალის მინამ დაორთქლე-
ბა იცის ხოლმე. აიღე საპონი,
მინას აქეთ-იქიდან თხლად გა-
უსუ-გამოუსვი, შერე მინები გა-
ლის შურალი ნაქრით გააპრია-
ლე.


სახუმარო გამოსანა

მღინარეს, ორი ბავშვი მიადეა. ნაპირ-
თან ერთადგლიანი ნავი იდგა. ახლო-
მხლო არავინ იყო. არც სხვა ნავი იდგა
და არც ტივი. ორივე ბავშვი გაღმა გა-
ვიდა, როგორ მოახერხეს?

სათვალეს თუ ხრახნი მოერ-
ყა, ხრახნს თავსა და ბოლოში
სინთეტიკური წებო დააწვეთე-
იგი კარგად ჩამაგრდება და
ბულიდან აღარ ამოვარდება.



ეს ორი ლეკვი ტყუპები არ გე-
გონოთ. მათ შორის ექვსი გან-
სხვავებაა. მოძებნეთ.



ორი ბავშვი გა-
ჩერებულ ესკა-
ლატორს მიუყე-
ბა ერთი უფრო
სწრაფად გარბის,
ვიღრე მეორე
რომელი მერტო სა-
ფხვსურის დათე-
ლას მოასწრებს.

მოცემულია 16
კვადრატი. თი-
თოეულ კვადრატ-
ში ჩასვი რომელი-
მე რიცხვი 1-დან
16-მდე, ისე რომ
თარაზ უნდა დაე-
შვებოდეს და
ლიაფონაურად-
აც ციფრთა ჯამი
34 იქნეს.

ყდახე ნახატი გარჯი მაღანჩივაძისა.

საბარტოველს
ალკა ცკ-ნისა
ლა. ვ. ი. ლენინის
სახელმძღვანელო
პრონინტა
ოტბანოვსკის
ჩანსაშულკური
საბარტოველს
შანსაშულკური
შანსაშულკური
სახელმძღვანელო

შთავარი რედაქტორი ანჰერ ნიშარბაძე

სარედაქციო კოლეჯია: ელშარდ აგოშაძე, ილია ანთოლაშა, კუპარი გოგიაშვილი, სოლომონ ლე-
შინაშვილი, ლეილა ენაძე, მანანა კოპახიძე, ზურაბ ლუშაგავილი (პრ. მდიანი), ველა ლოსა-
ზაძე, მუხამბა მამულოშვილი, ჯურაბ ნაღირაძე, გიორგი რომინოვილი (სამხატვრო რედაქტორი),
გივი ძეგლაძე, მანანა ხაჩიძე, გივი ვიძინაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

შსამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქციის — 93-41-30, 93-98-15;
პ/მე მდიანის — 93-10-32, 93-98-18; საბმ. რედაქციის — 93-98-18; გარეუფ. 93-98-19;

გადაეცა ასაწეობად 13/1-83 წ., ხელმოწერულია დასაბეჭდოდ 25/11-83 წ., კალენდის ზომა 6 X 11 1/2
ფიხ. ნახ. ფურტ. 2,5, ტირაჟი 165.400. შეტ. № 306. „დილა“ № 3. журнал для младшеклассников
на грузинском языке. Главный редактор Э. Нишарадзе. Тбилиси, ул. Ленина, 14. цена 20 ლ.

გამოცემის
ნ.ე. წელი
საქ. კ. ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

ბებოქა

მხატვარი ელუარდ აშვთიაძე

